

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება – უფლება და მოვალეობა

სოფიო ჯოხაძე*

1. შესავალი

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შესაძლებლობა მნიშვნელოვანია, რათა როგორც საწარმოს, ასევე კრედიტორებს მიეცეთ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

საწარმოსა და კრედიტორის უფლებების თანაზომიერად დაცვის კუთხით, საინტერესოა ვის ანიჭებს კანონმდებელი საქმისწარმოების დაწყების უფლებას და რა პირობებით, როგორია ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყნის მიდგომა და სტანდარტები.

რეაბილიტაციისა და გაკოტრების დაწყების კრიტერიუმებით განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა ქვეყნის გაკოტრების სამართალი. ზოგიერთ ქვეყანაში რეაბილიტაციის მოთხოვნა არ შეუძლია მოვალეს, თუ კრედიტორის მხრივ უკვე აღძრულია გადახდისუუნარობის პროცესი. ხოლო სხვა სამართლებრივ სისტემებში გადახდისუუნარობის პროცესი რეორგანიზაციით იწყება, თუმცა შეიძლება დასრულდეს ლიკვიდაციით, თუ გამოიკვეთება, რომ რეორგანიზაცია შეუძლებელია.¹ ზოგიერთი გადახდისუუნარობის სისტემა (მაგალითად, საქართველოში) მხოლოდ მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შესწავლის შემდეგ განსაზღვრავს, გაკოტრების პროცესი უნდა დაიწყოს, თუ რეაბილიტაციის.

გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია საწარმოს დროული გაჯანსაღებისა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბოროტად არ იქნეს გამოყენებული გადახდისუუნარობის კანონმდებლობით დადგენილი წესები. მაგალითად, მოვალის მიერ, რომელიც რეალურად არ არის გადახდისუუნარო, თუმცა სურს გამოიყენოს გადახდისუუნარობის

* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი.

¹ UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, New York, 2005, 45, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf.

კანონით დადგენილი მოვალის დაცვის მექანიზმები. ან კრედიტორის მიერ, რომელიც მოვალის კონკურენტია და გადახდისუუნარობის დაწყებით ცდილობს დაიკავოს კონკურენტის ადგილი ბაზარზე.²

ასევე ნაშრომში განხილული იქნება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება – როგორც საწარმოს ვალდებულება. რამდენად არის მიზანშეწონილი საწარმოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეუტანლობა იწვევდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინ შეიძლება იყოს ამ პასუხისმგებლობის სუბიექტი. რამდენად შეესაბამება გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება საწარმოს დროული გაჯანსაღების, ან/და კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზანს. აღნიშნულ საკითხების გამოსაკვლევად, საინტერესოა ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობა გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე, – რამდენად მიღებული პრაქტიკაა პასუხისმგებლის დაწესება საწარმოს მიერ გადახდისუუნარობის პროცესის აღმგრის შესახებ განცხადების შეუტანლობის გამო და რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ასეთი რეგულაცია.

2. საწარმოს მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლება აქვს გადახდისუუნარო ან გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ მოვალეს.³ ამასთან, „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობა განმარტებულია როგორც მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა, ხოლო მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი მოვალე – მოვალე, რომელიც სათანადო ზომების მიუღებლობის შემთხვევაში უახლოეს მომავალში გახდება ან შესაძლოა გახდეს გადახდისუუნარო.

შესაბამისად, კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარობაც და მოსალოდნელი გადახდისუუნარიანობაც

² UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, New York, 2005, 45, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf.

³ საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 14.1 მუხლის „ა“ პუნქტი.

შეფასებითი ცნებებია. თავად მოვალე აფასებს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით არის თუ არა იგი გადახდისუუნარო, ან მოსალოდნელი გადახდისუუნარო. თუმცა ეს შეფასება უნდა ემყარებოდეს ობიექტურ გარემოებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ შესაძლოა უარი უთხრას მოვალეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების აღმვრახე.⁴ მოვალე ვალდებულია განცხადებას დაურთოს ქონების ნუსხა, საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების მითითებით და ასევე კრედიტორთა ნუსხა არსებული ვალდებულებების მითითებით.⁵

2.1 საწარმოს მიერ გაკოტრების მოთხოვნა

კანონი არეგულირებს მოვალის მიერ გაკოტრების მოთხოვნის საკითხს. ასეთ დროს კრედიტორთა კრებაზე ინიშნება გაკოტრების მმართველი და იწყება გაკოტრების საქმისწარმოება.⁷ შესაბამისად, საწარმოს რეაბილიტაციის შესაძლებლობა აღარ განიხილება. რეაბილიტაციის პროცესი შესაძლებელია დაიწყოს იმ შემთხვევაში, თუ მომრიგებელთა საბჭო მიიღებს აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას.⁸

კანონმდებლობა ითვალისწინებს ასევე მოვალის შესაძლებლობას, გაკოტრების მოთხოვნის შესახებ განცხადებაში მიუთითოს გაკოტრების დაწყების შემთხვევაში საკუთარი ქონებით საპროცესო ხარჯების დაფარვის შეუძლებლობის შესახებ და

⁴ ისაქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. მუხლი 20.1.

⁵ იქვე, მუხლი 16.1.

⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 დეკემბრის განჩინება საქმეზე №2/18429-13 გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ, <http://www.geocourts.ge/files/documents/1388068715.pdf>.

⁷ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 17.1.

⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 სექტემბრის განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ საქმეზე №2/18013-2015, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2990778>, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ საქმეზე №2/18853-2015, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3108131>.

დაურთოს საქმეს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები.⁹

სასამართლო ამოწმებს მხარის მიერ მითითებულ გარემოებებს და თუ დაადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის დროისთვის გაკოტრების დაწყების შემთხვევაში მოვალე ვერ დაფარავს საპროცესო ხარჯებს, გამოაქვს განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რომელშიც უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით.¹⁰ თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ არ შეიტანა სასამართლოში განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ,¹¹ ასეთ შემთხვევაში „მოვალის ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაციის გაუქმებამდე ნაწილდება მის პარტნიორებზე მათი წილის პროპორციულად, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.¹²

საწარმო გაკოტრებულად გამოცხადების ზემოხსენებული წესი იძლევა კრედიტორების უფლებების არაკეთილსინდისიერად შეზღუდვის შესაძლებლობას. შესაძლებელია არსებობდეს კრედიტორი, რომელმაც ვერ ნახა გამოქვეყნებული განჩინება, ან ვერ მოახერხა სასამართლოში გადახდისუუნარობის განცხადების შეტანა ერთი თვის განმავლობაში. გამოდის, რომ ასეთ შემთხვევაში, მოვალეს რომც გააჩნდეს გარკვეული ქონება, იგი გადადის პარტნიორთა მფლობელობაში და კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესი საკმაოდ დიდ ხარჯებს და სასამართლოს დიდ რესურსს მოითხოვს. ამიტომ კანონმდებელმა დაადგინა საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შესაძლებლობა რეგისტრაციის გაუქმების გზით;

⁹ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 16.2.

¹⁰ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 იანვრის განჩინება საქმეზე №2/2237-15 მოვალის გაკოტრებულად გამოცხადებისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3174301>.

¹¹ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 20.4.

¹² იქვე, მუხლი 20.10.

თუმცა ამ რეგულაციით არსებობს კრედიტორთა ინტერესებისა და უფლებების დარღვევის არათანაზომიერად მაღალი საფრთხე. შესაძლებელია გამოსავალი მოიძებნოს ქონების პარტნიორთა შორის გადანაწილების ნაცვლად, სასამართლოს ან ნოტარიუსის ანგარიშზე დეპონირებით გონივრული ვადის განმავლობაში. ხოლო თუ გამოჩნდება საწარმოს კრედიტორი, შესაძლებელი იქნება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება სწორედ ამ ქონებით. იმისათვის, რომ ნაკლები იყოს კრედიტორთა უფლებების უსამართლოდ დარღვევის რისკი, მიზანშეწონილია განჩინება არა მხოლოდ გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“,¹³ არამედ გაეგზავნოს კრედიტორებს, რომელთა სიაც მოვალემ უნდა წარუდგინოს სასამართლოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებასთან ერთად.¹⁴¹⁵

2.2 საწარმოს მიერ რეაბილიტაციის მოთხოვნა

კრედიტორის უფლებას, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვოს რეაბილიტაცია, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. თუმცა 2015 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტში მთავრობის მიერ ინიცირებული იქნა კანონპროექტი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მე-2 მუხლი შეეხება მოვალის უფლებამოსილებას, განცხადებით მოითხოვოს როგორც რეაბილიტაცია, ისე გაკოტრება.¹⁶

კანონპროექტის თანახმად, რეაბილიტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, განცხადებას უნდა ერთვოდეს რეაბილიტაციის

¹³ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 20.5.

¹⁴ იქვე, მუხლი 16.1.

¹⁵ ამ კონტექსტში საინტერესოა კანონის 42.5 მუხლი, რომლის თანახმადაც თუ გაკოტრების შემდეგ, მოგვიანებით აღმოჩნდა საწარმოს ქონება, რომელიც არ გაყიდულა და არც კრედიტორის დაკმაყოფილების საკითხი დგას დღის წესრიგში, მაშინ ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში, ისე, რომ კომპანიის პარტნიორებს არაფერს ეკითხებიან.

¹⁶ საქართველოს კანონპროექტი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხლი 2. <http://parliament.ge/ge/law/11170/28174>.

გეგმის პროექტი,¹⁷ რომელიც განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ საერთო წესების დაცვით განიხილება სასამართლოს მიერ მეურვის დასკვნასა და მომრიგებელთა საბჭოს გადაწყვეტილებასთან ერთად.

კანონპროექტი არეგულირებს ასევე რეაბილიტაციის მოთხოვნის დროს მომრიგებელთა საბჭოს მიერ გაკოტრების შესახებ, ან გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგებსაც. ასეთ დროს, „სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს მოტივირებული განჩინება რეაბილიტაციის დაწყების შესახებ მოვალის მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, თუ ამგვარად უფრო მეტად იქნება უზრუნველყოფილი ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული მიზნების (საწარმოსა და კრედიტორების უფლებების თანაზომიერად დაცვა) მიღწევა გონივრულ ვადაში.“¹⁸

კანონპროექტის შეთავაზება, მოვალეს ჰქონდეს რეაბილიტაციის მოთხოვნის უფლება, დადებიად უნდა შეფასდეს საწარმოს უფლებების დაცვის კუთხით. მოვალეს მეტი მოტივაცია ექნება მოსალოდნელი გადახდისუნარიანობის დადგომისთანავე, ადრეულ ეტაპზე მოითხოვოს რეაბილიტაცია. საწარმოს გაჯანსაღების შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზე კი ევროპის კომისიის რეკომენდაციის „ახალი მიდგომა ბიზნესის წარუმატებლობისა და გადახდისუნარიანობისადმი“¹⁹ პირველ პრინციპს წარმოადგენს და დადებითად აისახება

¹⁷ მთავრობის მიერ აღნიშნული კანონპროექტის ინიცირებამდე, 2015 წლის 21 მაისს ინიცირებულ იქნა დაახლოებით იმავე შინაარსის კანონპროექტი, რომელიც თავად ინიციატორმა გაიწვია უკან. ძველი კანონპროექტის თანახმად, მოვალეს ენიჭებოდა უფლება მოეთხოვა რეაბილიტაცია რეაბილიტაციის გეგმის წარმოდგენის გარეშე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეაბილიტაციის საჭიროებას ძირითადად კრიზისში მყოფი საწარმოები საჭიროებენ, კანონპროექტის ძველი ვერსიით შემოთავაზებული რეგულაცია უფრო გონივრულად უნდა ჩაითვალოს. <http://parliament.ge/ge/law/9361/21159>.

¹⁸ საქართველოს კანონპროექტი „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხლი 2. <http://parliament.ge/ge/law/11170/28174>.

¹⁹ Commission Recommendation on a New Approach to Business Failure and Insolvency, Brussels, 12.3.2014, http://ec.europa.eu/justice/civil/files/c_2014_1500_en.pdf.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესზე და ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზეც.

საწარმოს უფლება, მოითხოვოს მხოლოდ რეაბილიტაცია გაკოტრების პროცესის გარეშე, პირველ რიგში სწორედ მოვალის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ამდენად, კრედიტორისა და მოვალის უფლებების თანაზომიერად დაცვას ნაკლებად ემსახურება. შესაბამისად, კანონპროექტის მე-5 მუხლის ჩანაწერი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება კრედიტორისა და მოვალის ინტერესების თანაზომიერად დაცვის მიზნის მისაღწევად²⁰, თავისთავად ეწინააღმდეგება ამ მუხლის საერთო შინაარსს. ამას ადასტურებს კანონპროექტის განმარტებითი ბარათიც, რომლის თანახმადაც, კანონპროექტის მიზანია, „მკაფიოდ განისაზღვროს თუ რა მოთხოვნის დაყენება შეუძლია მოვალეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით“.²¹

არაერთი ქვეყანა (საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, იაპონია) თავისი კანონმდებლობით მხარს უჭერს რეორგანიზაციას ლიკვიდაციის მაგივრად. თუმცა კვლევები ადასტურებს, რომ რეკონსტრუირებული კომპანიების 40% კვლავ განიცდის ფინანსურ დანაკარგებს და 32% კვლავ გახდა გადახდისუუნარო. ასევე დადგენილია, რომ რეორგანიზებული კომპანიების 70%-ის მოგება საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.²²

შვედეთის კანონმდებლობაც კი, რომელიც უფრო მეტად კრედიტორების უფლებების დაცვისკენ არის ორიენტირებული,²³ გადახდისუუნარობის დაწყების შესაძლებლობას დებიტორს ანიჭებს. კრედიტორსაც შეუძლია მიმართოს სასამართლოს გადახდისუუნარობის დაწყების განცხადებით, მაგრამ მხოლოდ იმ

²⁰ საქართველოს კანონპროექტი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხლი 5, <http://parliament.ge/ge/law/11170/28174>.

²¹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონპროექტზე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 1; <http://parliament.ge/ge/law/11170/28174>.

²² The Swedish Business Reconstruction Act and SSB, Maria Tuula-karlson, Scandinavian Studies in Law 1999-2015, 330, <http://www.scandinavianlaw.se/pdf/57-18.pdf>.

²³ The Swedish Business Reconstruction Act and SAAB, Marie Tuula-Karlsson, Scandinavian Studies in Law 1999-2016, 333.

შემთხვევაში, თუკი აღნიშნულს დაეთანხმება მოვალე.²⁴ ამასთან, შვედური კანონმდებლობა, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, შეაფასოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება და გადაწყვიტოს, რამდენად არის მიზანშეწონილი გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება. ქართული კანონპროექტისგან განსხვავებით, შვედეთის კანონმდებლობა არ ითხოვს რეორგანიზაციის გეგმის წარდგენას განცხადების შეტანისთანავე, არამედ რეორგანიზაციის გეგმა დგება გადახდისუუნარობის პროცესში ერთობლივად დანიშნული ადმინისტრატორისა და მოვალის თანამშრომლობის შედეგად.²⁵

3. კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება

კრედიტორის მიერ განცხადების შეტანა გადახდისუუნარობის მოთხოვნით, მნიშვნელოვანია პროცესის დროული დაწყებისა და რეაბილიტაციის სასურველი შედეგის დადგომის მიზნისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ „ამერიკის გადახდისუუნარობის კოდექსის“ მე-11 თავი მოდელად იქნა გამოყენებული ბევრი ქვეყნის გადახდისუუნარობის კანონმდებლობის შექმნისას,²⁶ მის თავისებურებას წარმოადგენს, რომ რესტრუქტურისაცაა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თავად მოვალის ინიციატივით (მოვალის სურვილით). ეს მიდგომა საკმაოდ დრომოჭმულია, ვინაიდან, თანამედროვე სექტორის მიხედვით, ძირითადი კრედიტორები (როგორცაა, მაგალითად, ბანკები), ხშირად უფრო ეფექტიანები არიან ბიზნესისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნების კუთხით.²⁷

²⁴ Swedish Bankruptcy Act chapter 2, http://siteresources.worldbank.org/GILDSWEDEN/Resources/Sweden_Bankruptcy_Law.pdf

²⁵ The Swedish Business Reconstruction Act and SAAB, Marie Tuula-Karlsson, *Scandinavian Studies in Law 1999-2016*, 336.

²⁶ იქვე, 330, <http://www.scandinavianlaw.se/pdf/57-18.pdf>.

²⁷ *Wessels, Bob*, *Business Rescue in Insolvency Law-Setting the Scene*, 2014, Netherland, 3, https://www.europeanlawinstitute.eu/fileadmin/user_upload/p_eli/General_Assembly/2014/Business_Rescue_in_Insolvency_Law_Setting_the_Scene.pdf.

ლატვიის კანონის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის უფლება აქვს როგორც კრედიტორს, ასევე დებიტორს და ადმინისტრატორს, რომლის უფლებამოსილებაც განსაზღვრულია ლატვიის კანონით გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ.²⁸ თუმცა ამგვარი უფლებამოსილება არ გააჩნია უზრუნველყოფილ კრედიტორს.²⁹ ამით ლატვიის კანონმდებლობა განსხვავდება ქართულისგან, რომელიც არ უზღუდავს უზრუნველყოფილ კრედიტორებს, მოითხოვონ საწარმოს გადახდისუუნარობა. ასეთი დათქმა შესაძლებელია განპირობებული იყოს უზრუნველყოფილი კრედიტორის მეტი დაცულობით, დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა, თუმცა ვალდებულება შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს არა მხოლოდ მოვალის, არამედ სხვა პირის ქონებითაც. შესაბამისად, ის, რომ კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია, არ გამორიცხავს მოვალის გადახდისუუნარობას.

3.1 კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების ზოგადი სტანდარტები

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავდება იმ მოთხოვნების მიხედვით, რომელსაც უწესებს კრედიტორს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შესატანად.

ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ე.წ. ლიკვიდურობის „cash Flow“ და გადახდების შეჩერების ტესტი.³⁰ ამ ტესტის მიხედვით, დებიტორი გადახდისუუნაროა თუ მან შეწყვიტა გადახდები (იჯარა ხელფასები), და არა აქვს საკმარისი „cash flow“, რათა დაფაროს აღებული ვალდებულებები.

არსებობს ასევე ე.წ. „Balance sheet Test“-ი, რომლის მიხედვითაც, როდესაც ვალდებულებები აღემატება აქტივებს, კომპანია ითვლება გადახდისუუნაროდ. ამ ტესტის პრაქტიკული

²⁸ Insolvency Law of Latvia, 2010, Art. 60 [file:///C:/Users/User/Downloads/insolvency_law_2010%20\(1\).pdf](file:///C:/Users/User/Downloads/insolvency_law_2010%20(1).pdf).

²⁹ იქვე, Art. 60.

³⁰ UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, New York, 2005, 45, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf.

გამოყენების პრობლემა ისაა, რომ ბალანსის მონაცემები ცნობილია მხოლოდ კრედიტორისთვის და მოვალეს იშვიათ შემთხვევაში მიუწვდება მასზე ხელი. ამასთან, დებიტორის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორი იქნება ბალანსში მითითებული ინფორმაცია (თუმცა არასწორი ინფორმაციის მიწოდება სასამართლოსთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს). ასევე, ვალდებულებების მეტობა აქტივებზე, რაც ბალანსიდან გამომდინარეობს, შესაძლებელია რეალურად არც ნიშნავდეს საწარმოს გადახდისუნარობას და მხოლოდ ფორმალურად შეესაბამებოდეს გადახდისუნარობის შესახებ განცხადების შეტანის პირობებს.³¹

საქმისწარმოების დაწყების გაადვილებისთვის შესაძლებელია კანონმდებლობამ გაითვალისწინოს გადახდისუნარობის დაწყების შესაძლებლობა ერთ-ერთი ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში. გადახდისუნარობის სამართალი ხშირად „ლიკვიდურობის, „cash Flow“ და გადახდების შეჩერების ტესტის“ და „Balance sheet Test“-ის სხვადასხვა კომბინაციაში იყენებს და ისე აყალიბებს გადახდისუნარობის შესახებ განცხადების შესატანად საჭირო სტანდარტებს. ამგვარ გზას ირჩევს საქართველოს კანონიც გადახდისუნარობის შესახებ, რომლის მიხედვითაც კრედიტორის მიერ განცხადების შეტანას ითვალისწინებს მოვალის მიერ გადახდების შეწყვეტის შემთხვევაში, ხოლო მოვალის ინიციატივით გადახდისუნარობის დაწყებისას, განმცხადებელმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს მოვალისთვის ცნობილი ქონებისა და კრედიტორების ნუსხა.³²

შერეულ მეთოდს ითვალისწინებს ასევე ლატვიის კანონი გადახდისუნარობის საქმისწარმოების შესახებ. აღნიშნული კანონის თანახმად, გადახდისუნარობის საქმისწარმოების გახსნა შესაძლებელია მაშინ, როდესაც: შეუძლებელია იძულებითი აღსრულება, კომპანიას აქვს ერთი ან რამდენიმე შეუსრულებელი ვადამოსული ვალდებულება, რომელიც თითოეული ან ჯამურად აღემატება 3.000 ლატვიურ ლატს (დაახლოებით 5.000 ევრო) სს-ისა და შპს-ის შემთხვევებში, ხოლო 1.500 ლატვიურ ლატს (დაახლოებით 2.500 ევრო) სხვა სამართლებრივი ფორმის

³¹ UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, New York, 2005, 45, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf. 46.

³² საქართველოს კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 14.1.

შემთხვევაში. კომპანიას არა აქვს გადახდილი ხელფასები და სხვა სოციალური ანაზღაურება თანამშრომლებისთვის 2 (ორი) თვის განმავლობაში, კომპანიის ქონება არ არის საკმარისი ვალდებულებების დასაფარად.³³

ინგლისის გადახდისუუნარობის კანონმდებლობის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებაში უნდა იყოს მითითებული გარემოებებზე, რის გამოც კომპანია არის გადახდისუუნარო, ვალდებულებების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით.³⁴ თუმცა კონკრეტულ კრიტერიუმებს კრედიტორისთვის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შესატანად, ინგლისის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

3.2 კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების კრიტერიუმები

კრედიტორთა ინტერესების დაცვას ემსახურება მათი უფლება, განცხადება შეიტანონ გადახდისუუნარობის დაწყების მოთხოვნით.³⁵ თუმცა ეს უფლება იქვე კომპენსირდება კანონის 18.2 მუხლით, უსაფუძვლოდ ან არასაკმარისი საფუძვლით განცხადების შეტანის შემთხვევაში მოვალისთვის ზიანის ანაზღაურების შესახებ.

გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონი კრედიტორებს გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში ანიჭებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის უფლებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი წარმოადგენს „კანონიერ ძალაში შესულ სხვა კრედიტორთა სასარგებლოდ გამოტანილ არანაკლებ ორ სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც მიქცეულია იძულების წესით აღსასრულებლად და საერთო თანხა აღემატება 50.000 ლარს“;³⁶ თუ კრედიტორის მოთხოვნა აღემატება მოვალის მიმართ არსებულ მოთხოვნათა 30%-ს და მოთხოვნის ვადის დადგომიდან გასულია

³³ Insolvency Law of Latvia, 2010, art. 57, file:///C:/Users/User/Downloads/insolvency_law_2010%20(1).pdf.

³⁴ Practice Direction – Insolvency Proceedings, para 11; https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/insolvency_pdf.

³⁵ საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 14.1.

³⁶ იქვე, მუხლი 14.1 „გ“.

არანაკლებ 30 დღე;³⁷ ასევე განცხადების შეტანა შეუძლია ორ კრედიტორს ერთად, თუ მოთხოვნის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 დღისა და მოთხოვნის ჯამური თანხა აღემატება 150.000 ლარს;³⁸ სამი კრედიტორის შემთხვევაში კი მოთხოვნის საერთო რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 50.000 ლარს.³⁹

საწარმოს გადახდისუნარიანობა შეფასებითი კატეგორიაა. შესაბამისად, კრედიტორებისთვის განცხადების შეტანის მკაცრი კრიტერიუმების დაწესებით, შესაძლებელია დაირღვეს მათი უფლებები. კონკრეტული საწარმოს გადახდისუნარობა ინდივიდუალური ნიშნებით უნდა იქნეს განსაზღვრული. ერთ შემთხვევაში გარკვეული გარემოებები შესაძლებელია ნიშნავდეს საწარმოს გადახდისუნარობას, მეორე შემთხვევაში კი – არა.

წინადადებული ნაბიჯია მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, „სასამართლო უფლებამოსილია კრედიტორის (კრედიტორების) განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მოვალის მიმართ გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნის თაობაზე მაშინაც, თუ კრედიტორი ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს“.⁴⁰ ასეთ დროს კრედიტორმა არგუმენტირებული განცხადებით უნდა დაასაბუთოს გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნის აუცილებლობა. კანონპროექტის განმარტრებითი ბარათი მიზანშეწონილად მიიჩნევს, სასამართლომ შეაფასოს მოვალის გადახდისუნარობა, მაშინაც კი თუ კრედიტორი ვერ აკმაყოფილებს კანონით

³⁷ იქვე, მუხლი 14.1 „დ“; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2/1252, გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ, <http://www.geocourts.ge/files/documents/1349345178.pdf>.

³⁸ გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14.1 „ე“.

³⁹ იქვე, მუხლი 14.1 „ვ“.

⁴⁰ „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხლი 2. <http://parliament.ge/ge/law/11170/28174>.

დადგენილ კრიტერიუმებს, თუმცა თავისი განცხადებით ასაბუთებს საწარმოს გადახდისუუნარობას.⁴¹

3.3 შემოსავლების სამსახურის, როგორც კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება

კანონი ცალკე რეგულაციას ითვალისწინებს შემოსავლების სამსახურის, როგორც კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის დაწყების შესაძლებლობაზე. კანონის 14.1 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნისთვის განცხადების შეტანა საგადასახადო სამსახურს შეუძლია იმ მოთხოვნების დაუცველად, რომელსაც კანონი სხვა კრედიტორებისთვის ითვალისწინებს.⁴² შესაძლოა, ეს საგადასახადო ორგანოს, როგორც სხვა კრედიტორებთან შედარებით „უფრო მეტად სანდო“ სუბიექტის როლით არის განპირობებული, თუმცა ამგვარი უპირატესობის მინიჭება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მას სხვა კრედიტორებთან შედარებით.

4. გადახდისუუნარობის საქმისწარმოების სხვა საფუძვლები

4.1 მესამე პირის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესაძლებლობა

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის შესაძლებლობას არა კრედიტორისა და მოვალის, არამედ მესამე პირის – საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის გადახდისუუნარობის საკითხთან დაკავშირებით.⁴³

⁴¹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონპროექტზე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 1; <http://parliament.ge/ge/law/11170/28174>.

⁴² საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლები 14.1 და 16.1.

⁴³ იქვე, მუხლი 14.1 „ბ1“; „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონის“ 481 მუხლის თანახმად, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების განმარტება ხდება შემდეგნაირად: „იურიდიული პირი

„ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, 2009 წლის 1 დეკემბრიდან ლიკვიდირებულ იქნა სსიპ „საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო“, ხოლო მისი ფუნქციების შესრულება დაევალა „საქართველოს ეროვნული ბანკის რეორგანიზებულ სტრუქტურებს“.⁴⁴ კერძოდ, კვალიფიციური საკრედიტო საკრედიტო ინსტიტუტების რეგულირება განისაზღვრა ეროვნულ ბანკთან შექმნილი დამოუკიდებელი ორგანოს – სააგენტოს უფლებამოსილებად.⁴⁵

შესაბამისად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონში კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტებთან დაკავშირებით განცხადებაზე უფლებამოსილ ორგანოდ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ნაცვლად მითითებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკი (ან/და ეროვნულ ბანკთან შექმნილი სააგენტო). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ, ნორმატიული აქტით ზოგადად მაინც დარეგულირებულ იქნას ეროვნული ბანკის (სააგენტოს) მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვის წესები, რა შემთხვევაში ხდება ამგვარი მიმართვა და ა. შ.

4.2 ნებაყოფლობითი რეორგანიზაცია

ნებაყოფლობითი რეორგანიზაცია უკანასკნელი პერიოდის პროდუქტია, რომელიც გადახდისუუნარობის კანონმდებლობის ალტერნატივას წარმოადგენს. ეს ინსტიტუტი პრაქტიკაში საბანკო სექტორის მეშვეობით დაინერგა და ძირითადად გამოიყენება ისეთ

(გარდა კომერციული ბანკისა), რომელიც სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე მეტი ფიზიკური პირისგან ან რომლის მიერ ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრების ოდენობა ხუთ მილიონ ლარს აღემატება, ვალდებულია სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს რეგისტრაცია სააგენტოში და დააკმაყოფილოს სააგენტოს მიერ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტებისთვის დაწესებული მოთხოვნები“. ასევე სააგენტო უფლებამოსილია სუბიექტს, რომლის მიერ მოზიდული სახსრები არ აღემატება ხუთი მილიონ ლარს, მოსთხოვოს კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად რეგისტრაცია, თუ მისი საქმიანობა, მოზიდული სახსრების ოდენობა ან სეგმენტი სააგენტოს მიერ მიჩნეულია მნიშვნელოვნად.

⁴⁴ „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 70; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044>.

⁴⁵ იქვე, მუხლი 48¹.

შემთხვევებში, როდესაც არსებობს დიდი სასესხო ვალდებულება და კრედიტორს ბანკი, ან საფინანსო დაწესებულება წარმოადგენს.⁴⁶

ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის უპირატესობა გადახდისუუნარობის პროცესთან შედარებით, მის მოქნილობაშია. კერძოდ, ნებაყოფლობითი პროცესი არ არის შებოჭილი გადახდისუუნარობის კანონმდებლობისთვის დამახასიათებელი მკაცრი პროცედურული ნორმებით. ამასთან, ნებაყოფლობითი რეორგანიზაციისას შესაძლებელია სამოდელოდ გამოყენებულ იქნას გადახდისუუნარობის კანონმდებლობით შემოთავაზებული რეგულაციები.

ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის დროს მხარეთა უფლება-მოვალეობები წესრიგდება ძირითადად სახელშეკრულებო ფარგლებში. გამოიყენებენ ასევე საკორპორაციო, ან საბანკო სამართლის ნორმებსაც.⁴⁷ ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის პროცესის მიზანშეწონილია, თუ სახეზეა შემდეგი წინაპირობები: არსებობს მნიშვნელოვანი დავალიანება ბანკის, ან საფინანსო დაწესებულების წინაშე; მოვალეს არა აქვს აღნიშნული ვალდებულების შესრულების საშუალება; როდესაც მხარეები მზად არიან ითანამშრომლონ ვალდებულების შესრულების ხელშესაწყობად; შესაძლებელია ვალდებულების რესტრუქტურირაცია; ნებაყოფლობითი გადახდისუუნარობის რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში, გადახდისუუნარობის კანონმდებლობის სწრაფი და ეფექტიანი ჩართვის შესაძლებლობა;⁴⁸

ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის დროს იურისტების, ფინანსისტებისა და სხვა პროფესიონალების მეშვეობით, კრედიტორი და დებიტორი ადგენენ რეაბილიტაციის გეგმას, ხდება არსებული ვალდებულების რეფინანსირება, მოვალისთვის ახალი კრედიტების გაცემა და ამ გზით მოვალის გადახდისუუნარიანობის გაუმჯობესება და რეაბილიტაცია.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ მიიჩნევს შესაძლებლად რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობას გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიღმა, სასამართლოს

⁴⁶ UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, New York, 2005, 21, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf.

⁴⁷ იქვე, 22.

⁴⁸ იქვე.

ზედამხედველობის გარეშე.⁴⁹ ქართული კანონმდებლობა, მართალია, არ კრძალავს კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობების მოწესრიგებას კერძო სამართლებრივი, სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მოვალე გადახდისუუნარობისას, ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობისას ვალდებულია დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის შესაძლებლობა ნაკლებად პერსპექტიულია.

5. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება, როგორც საწარმოს მოვალეობა

გადახდისუუნარობა კერძოსამართლებრივი პროცესია, მის ერთ-ერთ მიზანს კეთილსინდისიერი, თუმცა წარუმატებელი მოვალის ინტერესების დაცვა წარმოადგენს. თუმცა გადახდისუუნარო მოვალის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პასუხი აგოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საწარმოს გადახდისუუნარობის დროს, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების გახსნა საუკეთესო გამოსავალია როგორც მოვალის, ისე კრედიტორებისთვის, ასევე საწარმოს თანამშრომლებისთვის, ვინაიდან არსებობს საწარმოს რეაბილიტაციის შანსი, ცხადი ხდება, რომ მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შიშით გადახდისუუნარობის საქმისწარმოების აღძვრისგან შესაძლო თავის შეკავება, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ადვოკატის როლი საწარმოს მიმართ, რომელსაც სურს დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. შესაძლოა იკვეთებოდეს გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულის ნიშნები, რომლებიც გადახდისუუნარობის საქმის გახსნის შემთხვევაში, დიდი

⁴⁹ UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, New York, 2005, 21, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/insolven/05-80722_Ebook.pdf.

ალბათობით გამოძიების საგნად იქცევა. შესაძლო რისკების მინიმალიზაცია ან/და წინასწარ განჭვრეტა, დიდწილად სწორედ ადვოკატის პროფესიონალიზმზე არის დამოკიდებული.⁵⁰

ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიდგომა, რომელიც დანაშაულად აცხადებს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებისთვის განცხადების შეუტანლობას. არსებობს შანსი იმისა, რომ საწარმოს ხელმძღვანელმა არ დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება იმის შიშით, რომ ეს პროცესი დაგვიანებული არ აღმოჩნდეს, რაც შესაძლოა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, კრიმინალიზებულია ისეთი ქმედებები, როგორცაა უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას,⁵¹ საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა გადახდისუუნარობისას,⁵² ასევე მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მეურვისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა⁵³, ამიტომ აღარ არსებობს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეუტანლობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების აუცილებლობა.

გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებისთვის განცხადების შეუტანლობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება არ ემსახურება სამართლებრივი წესრიგის საჯარო ინტერესს. ამიტომ, როდესაც მოვალის ქმედებაში არ იკვეთება თაღლითობის ან სხვა დანაშაულის ნიშნები, გადახდისუუნარობის დადგომისთვის, ან თუნდაც პროცესი დაწყებისთვის განცხადების შეუტანლობის გამო, პასუხისმგებლობის დაწესება არ არის მიზანშეწონილი.

⁵⁰ *Heston, Mary Jo, Rasnak, Sandra et al.*, Bankruptcy Fraud: A Roundtable Discussion, 289.

⁵¹ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 205, 2015 წლის 25 მაისის მდგომარეობით.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე, მუხ. 207¹.

5.1 პასუხისმგებლობის სუბიექტი

მოვალისთვის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანა არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაცაა. ამ მოვალეობის დარღვევა იწვევს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას – ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოს ერთ წლამდე ვადით ანდა იმავე ვადით თავისუფლების აღკვეთას.⁵⁴

განცხადების შეტანის შესახებ ხელმძღვანელის ვალდებულებასთან დაკავშირებით განხილულ უნდა იქნეს კანონის მე-16.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, მოვალის მიერ განცხადების შეტანისას შეიძლება საჭირო იყოს შესაბამისი ორგანოს თანხმობა.⁵⁵ გაურკვეველია, როგორ უნდა მოიქცეს დირექტორი მაშინ, როდესაც არ არსებობს ამგვარი თანხმობა. განცხადებას, თანხმობის გარეშე სასამართლო არ მიიღებს წარმოებაში, ხოლო განცხადების შეუტანლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.⁵⁶

იმ შემთხვევაში თუ დირექტორმა დააყენა საკითხი შესაბამისი ორგანოს წინაშე გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის თაობაზე, თუმცა ამ ორგანომ მხარი არ დაუჭირა დირექტორის ინიციატივას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტები უნდა იყვნენ არა საწარმოს დირექტორი, არამედ შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირები, რომელთაც მხარი არ დაუჭირეს გადაწყვეტილებას.

5.2 გადახდისუუნარობის მოთხოვნის განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ დანაშაულებს შორის

ხშირად, გადახდისუუნარიანობის საქმისწარმოების გახსნის შემდეგ, თავს იჩენს ხოლმე სხვადასხვა დანაშაული. მათ შორის

⁵⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 207, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>.

⁵⁵ საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხ. 16.1.

⁵⁶ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 207.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული დანაშაულები.⁵⁷ კერძო სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიზანია კრედიტორის უფლებებისა და ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება, რათა გადახდისუუნარობის პროცესი წარიმართოს სამართლებრივად, ხოლო სამართალდამრღვევებმა პასუხი აგონ კანონის წინაშე.⁵⁸

გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულები განზრახი ქმედებებია⁵⁹, ეს შეიძლება იყოს არასწორი ინფორმაციის მიწოდება, დოკუმენტების გაყალბება, მოვალის ქონების გადამალვა ან სხვ., განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, საქართველოსგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნისთვის განცხადების შეუტანლობისთვის.

ამ მხრივ საქართველოსთან ერთად გამონაკლისია შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი. შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 თავი, რომელიც კრედიტორის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ეხება, დანაშაულად მიიჩნევს გადახდისუუნარო პირის მიერ საქმიანობის გაგრძელებას.⁶⁰ შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 თავის მე-3 მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას პირისთვის, რომელიც აგრძელებს საქმიანობას გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის მიუხედავად.

⁵⁷ *Henston, Mary Jo*, The United States Trustee: The Missing Link of Bankruptcy Crime Prosecutions, 359, http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/abilr6&div=21&start_page=359&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults.

⁵⁸ იქვე, 385.

⁵⁹ იქვე, 391.

⁶⁰ The Swedish Penal Code, Chapter 11, On Crimes agans Creditors, 44, [file:///C:/Users/oper/Downloads/4c405aed10fb48cc256dd3732d76%20\(3\).pdf](file:///C:/Users/oper/Downloads/4c405aed10fb48cc256dd3732d76%20(3).pdf).

ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, არასწორი ინფორმაციის მიწოდებისთვის, ან ერთ-ერთი კრედიტორის სასარგებლოდ გარიგების დადებისთვის, თუმცა გადახდისუუნარობის დაწყების ვალდებულების დარღვევისთვის დებიტორის პასუხისმგებლობას ლატვიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.⁶¹

შესაბამისად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით განცხადების შეუტანლობისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება არ არის გამართლებული და თავადვე ეწინააღმდეგება თავისივე მიზანს – გადახდისუუნარო მოვალემ დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

6. დასკვნა

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებასთან დაკავშირებული რეგულაციების კვლევის შედეგად, გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია კანონმდებლობის დახვეწისა და სრულყოფისთვის, რაც თავის მხრივ აუცილებელია საწარმოსა და კრედიტორების უფლებების სათანადოდ დასაცავად.

პირველ რიგში, დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

ამ საკანონმდებლო ინიციატივით შემოთავაზებული რეგულაცია, რომელიც მოვალეს ანიჭებს უფლებამოსილებას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისას მოითხოვოს რეაბილიტაცია, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

აღნიშნული ცვლილებით საწარმოს ეძლევა შესაძლებლობა, თავად შეაფასოს გაჯანსაღების საჭიროების არსებობა და გადახდისუუნარობის პირველივე ნიშნებისას მიმართოს

⁶¹ The Criminal Law of Latvia, Riga, 1998, art. 215 http://www.knab.gov.lv/uploads/eng/the_criminal_law.pdf.

სასამართლოს რეაბილიტაციისთვის. თუმცა, კანონპროექტის მოთხოვნა, რომ საწარმომ ასეთ დროს თავად წარუდგინოს სასამართლოს რეაბილიტაციის გეგმა, შესაძლოა შეაფერხოს ამ მუხლის პრაქტიკული გამოყენება.

რეაბილიტაცია საწარმოს ფინანსური, ადმინისტრაციული და სხვა პრობლემებით არის გამოწვეული. შესაბამისად, დიდი ალბათობით საწარმოს აღარ აქვს იმის რესურსი, რომ თავად შეადგინოს რეაბილიტაციის გეგმა. ამიტომ, რეაბილიტაციის მოთხოვნისას, რეაბილიტაციის გეგმის წარდგენა უნდა იყოს ფაკულტატორული და არა იმპერატიული მოთხოვნა.

პროგრესულია კანონპროექტის შეთავაზება, კრედიტორის მიერ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებისას არგუმენტირებული განცხადების საფუძველზე სასამართლომ შეაფასოს გადახდისუუნარობის ნიშნების არსებობა. ნაშრომში განხილული გადახდისუუნარობის, ე.წ. ლიკვიდურობის „*cash Flow*” და გადახდების შეჩერებისა და „*Balance sheet*”-ის ტესტების, ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ გადახდისუუნარობის ნიშნები ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია. ამიტომ სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს კრედიტორის არგუმენტაცია და ისე მიიღოს გადაწყვეტილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ დახვეწას საჭიროებს კანონმდებლობით შემოთავაზებული რეგისტრაციის გაუქმების გზით საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების წესი. გაკოტრებულად გამოცხადების შემდეგ საწარმოს ქონების პარტნიორებზე განაწილებით, შესაძლოა დაირღვეს კეთილსინდისიერი კრედიტორების უფლებები, რომლებმაც ობიექტური მიზეზების გამო ერთი თვის განმავლობაში ვერ მიმართეს სასამართლოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მოხდეს ქონების დეკონირება სასამართლოს ან ნოტარიუსუს ანგარიშზე. ასევე, განჩინება არა მხოლოდ გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, არამედ გაეგზავნოს კრედიტორებს.

პრობლემურია ასევე შემოსავლების სამსახურის – როგორც კრედიტორისთვის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების განსხვავებული წესის დაწესება, რითაც კანონი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს საწარმოს კრედიტორებს.

ცვლილებებს საჭიროებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 14.1 მუხლის „ბ“ პუნქტი, ვინაიდან საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ლიკვიდაციის შემდეგ მისი ფუნქციების შესრულება დაევალა ეროვნული ბანკის რეორგანიზებულ სტრუქტურებს. ასევე სასურველია დარეგულირდეს ეროვნული ბანკის (სააგენტოს) მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვის კრიტერიუმები.

ნაშრომში განხილულია ნებაყოფლობითი რეორგანიზაციის ნოვატორული ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის პოპულარიზაციით შესაძლებელია საწარმოს გადახდისუუნარობის თავიდან აცილება კრედიტორისა და მოვალის ურთიერთთანამშრომლობის გზით კერძოსამართლებრივ ჭრილში, მხოჭავი რეგულაციებისა და სასამართლო ზედამხედველობის გარეშე. თუმცა ნებაყოფლობითი რეაბილიტაციის დანერგვისთვის საჭიროა, რომ მოვალეს არ ეკისრებოდეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის ვალდებულება.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეუტანლობათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების აღძვრის კუთხით. ნაშრომში განხილულმა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამგვარი ქმედების კრიმინალიზაცია არ არის მიზანშეწონილი და არ ემსახურება არც საჯარო ინტერესის დაცვასა და არც გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მიზნებს. გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული დანაშაულები შემაფერხებელი გარემოებაა რეაბილიტაციის პროცესის დროული დაწყებისთვის. თუმცა ზოგიერთი მათგანის არსებობა აუცილებელია, ვინაიდან ემსახურება საჯარო ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შესახებ განცხადების შეუტანლობა არ არღვევს საჯარო წესრიგს. შესაბამისად, ამ ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება მოკლებულია გონივრულ საფუძველს. ამას ემატება ისიც, რომ პრაქტიკაში ამ მუხლის გამოყენება არ ხდება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების აღძვრა უნდა იყოს საწარმოს უფლება და არა მოვალეობა.